ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1965248

ნომერი: AR1315961

თარიღი : 05.06.2015

გაცემის თარიღი : 24.06.2015

გაცნობის თარიღი : 24.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვალერი გელაშვილი პ/ნ LTU22074556
- რუსთაველის N14

ორგანიზაცია:
- ლიტ ჯეო ინვესტი კოდი: 400033655

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04.06.2015წ. №1935884 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 05/06/2015წ. #AR1315961 განაცხადით მომართა ვალერი გელაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04.06.2015წ. №1935884 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04.06.2015წ. №1935884 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა ც. დადიანი, N7–ში, შპს "ლიტ ჯეო ინვესტი"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, 08.01.2014 წლის №1066333 ბრძანებითა და 09.01.2014 წლის №1066211 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული პროექტის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 04 ივნისიდან 2015 წლის 04 დეკემბრის ჩათვლით.
დღეისათვის განმცხადებელი ვალერი გელაშვილი ითხოვს სამსახურის 04.06.2015წ. №1935884 ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების გასწორებას და შემდეგი მონაცემების დაფიქსირებას: საზაფხულო ფართი-2881.8 კვ.მ; საერთო ფართი-27432.9 კვ.მ; შენობის სამშენებლო მოცულობა 0.00-ის ქვევით-17001.9 კუბ.მ; შენობის სამშენებლო მოცულობა-97983.2 კუბ.მ.
დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინდა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.
ასევე, ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან დგინდება, რომ ვალერი გელაშვილი წარმოადგენს მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.16.02.038.064) მესაკუთრე იურიდიული პირის დირექტორს (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15004677, 14/01/2015 10:21:51). შესაბამისად იგი არის უფლებამოსილი პირი, განახორციელოს მესაკუთრის წარმომადგენლობა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 96-ე მუხლების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ვალერი გელაშვილის 05/06/2015წ. # AR1315961 განცხადება;
2. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04.06.2015წ. №1935884 ბრძანებაში. კერძოდ, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს შემდეგი მონაცემები: საზაფხულო ფართი-2881.8 კვ.მ; საერთო ფართი-27432.9 კვ.მ; შენობის სამშენებლო მოცულობა 0.00-ის ქვევით-17001.9 კუბ.მ; შენობის სამშენებლო მოცულობა-97983.2 კუბ.მ.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04.06.2015წ. №1935884 ბრძანებასთან ერთად.
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.